ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №107

19 მარტი 2021 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან- ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(№11-01210604387; 11-012771825; საკრებულოს №15-03210619-03;15-03207761-03)

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-287-13-16084 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. №11-03210642-03

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03210703-03

4. ქ. თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.10.13.033.928; 01.10.13.033.937) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-3210704-03

5. "ქალაქ თბილისში, მეგობრობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.071.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". №12-3210702-03

6. "ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.003.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "№12-3210702-03

7. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-03210701-03

8. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.01.501 და N01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "№12-3210702-03

9. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.073.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

№12-03210701-03

10. "ქალაქ თბილისში,უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი, №5-ში (საკადასტრო კოდი:№01.17.12.022.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" №12-3210701-03

11. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.060.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

12. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ქუჩა მირზა გელოვანი, ჩიხი V, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე". №12-03210701-03

13. "ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "№12-03210702-03.

14. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

№12-3210702-03

15. "ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165.02.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " №12-03210701-03

16. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "№12-03210701-03

17. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

18. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის N19.1087.1388 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.*

კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა **ლევან მიქავამ.**

შესათანხმებლად წარმოდგენილია, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები მათთვის მიკუთვნებულ პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებებში. კერძოდ: ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამის- „საქონელი და მომსახურების" მუხლში, II კვარტალს ემატება 100 000 ლარი. ცვლილება გამოწვეულია ქალაქის მასშტაბით გზების ორმოული და პერიოდული შეკეთებითი სამუშაოებიდან გამომდინარე. მუხრან მაჭავარიანის და მარშალ გელოვანის დამაკავშრებელი გზის მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, შეფერხდა საგზაო მშენებლობის პროცესი,რის გამოც ხდება „არაფინანსური აქტივები"ს მუხლში, საერთო ჯამში 1 879,2 ათასი ლარის გადატანა მეორე კვარტლიდან მომდევნო კვარტალში. დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის, ასევე კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა-გამაგრებისათვის „ კეთილმოწყობითი საქალაქო ღონისძიებების" პროგრამაში პირველ კვარტალს ემატება 200 000 ლარი, მომდევნო კვარტლებიდან. გამწვანების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით „გამწვანების ღონისძიებების" პროგრამის პირველი კვარტლიდან, შეორე კვარტალში გადაგვაქვს 1 100 000 ათასი ლარი. გამოცხადებული ტენდერების შედეგების გასაჩივრების გამო ვერ მოხერხდა გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება, რამაც გამოიწვია აღნიშნული ცვლილება. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი" წერილობით მომართვაში აღნიშნავს, რომ შესასრულებელი სამუშაოებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის და აბრეშუმის მუზეუმის რეაბილიტაციაზე თანხების ანაზრაურება, ჯამში 1 700 000 ლარის. ვერ განხორციელდა ასევე გუდიაშვილის მოედანზე რამდენიმე ობიექტის და წინამძღვრიშვილის #1 რეაბილიტაციაზე ხელშეკრულების მიხედვით ჯამში 3 400 000 ლარის ანაზღაურება. გამომდინარე აქედან, სულ 5 100 000 ლარის გადატანა ხდება პირველი კვარტლიდან მეორე კვარტალში. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ ბაღების მართვის სააგენტოს პირველ კვარტალში დამატებით ესაჭიროება 4 150 000 ლარი. აღნიშნავენ რომ იანვარსა და თებერვალში ხდებოდა აღსაზრდელების კანონიერი წარმომადგენელებისათვის კვების პროდუქტების დარიგება, რაც არ იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა კვებითი მომსახურებისთვის გამოცხადებულმა ტენდერმა კვების პროდუქტებზე, დაგეგმილზე მეტი ფასი გამოავლინა. ყველაფერმა ამან გამოიწვია სუბსიდიის მუხლში თანხების დეფიციტი.

ლევან მიქავამ, კომისიის წევრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ასევე გამგეობების მიერ მოთხოვნილ, მათთვის მიკუთვნებულ პროგრამეში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის,კრწანისის, დიდუბის, ვაკის, სამგორის რაიონის გამგეობები, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების, ინფრასტრუქტურის, გამწვანების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ასევე ქალაქის განვითარების ფონდი ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო **კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:**

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-287-13-16084 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული №-287-13-16084 ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, სოფელი ლისი, „ბურღების მიწა" 376 კვმ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 72.16.18.850). ხელშეკრულების "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, აუქციონის პირობად განისაზღვრა შეზღუდვა: „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე".

აუქციონის შესაბამისად, შეძენილი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 7746 ლარი. მყიდველის მიერ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულის შესრულება დასტურდება სააგენტოს მიერ გაცემული 2015 წლის 31 დეკემბრის N4012 საკუთრების მოწმობით.

მყიდველმა, 2017 წელს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა შეზღუდვის მოხსნა. აღნიშნულ წერილზე, სააგენტოს მიერ გაიცა უარყოფითი რეკომენდაცია, იმ მიზეზით, რომ არ იყო შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, კერძოდ, N72.16.18.850 საკადასტრო ერთეული არ იყო გაერთიანებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან.

აუქციონში გამარჯვებულმა 2018 წელს წერილით კვლავ მიმართა სააგენტოს შეზღუდვის მოხსნის თაობაზე, კერძოდ, მან მოითხოვა N72.16.18.850 საკადასტრო ერთეული გათავისუფლებულიყო შეზღუდვისაგან, რათა მას განეხორციელებინა ღობის მშენებლობა მიწის ნაკვეთის დასავლეთ მხარეს. აღნიშნული მოთხოვნა სააგენტომ კვლავაც არ დააკმაყოფილა.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, გასხვისებული უძრავი ქონების დანიშნულება საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, განსაზღვრულია როგორც არასასოფლო სამეურნეო, ხოლო მის მომიჯნავედ მდებარე საკადასტრო ერთეულები სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა. წინამდებარე მიზეზის გამო დაინტერესებულმა მხარემ ვერ მოახერხა N72.16.18.850 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავე ერთეულებთან გაერთიანება.

აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (საქმე N3/4783-18). სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სააგენტოს 2018 წლის 04 მაისის NQN1587786 გადაწყვეტილება შეზღუდვის მოხსნაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სააგენტოს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

მყიდველი განმარტავს, რომ მის საკუთრებაში არის სამი ერთმანეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთი (ს/კ: 72.16.18.850, ს/კ: 72.16.18.758, ს/კ: 72.16.18.718). ამათგან N72.16.18.850 საკადასტრო ერთეული, რომელიც

შეძენილია სააგენტოსგან მდებარეობს დანარჩენ ორ მიწის ნაკვეთს შორის და ღობის მშენებლობაზე უფლება ესაჭიროება მხოლოდ მიწის ნაკვეთის დასავლეთ მხარეს, სადაც გვერდის ზომა არის 8,4 მ., რადგან დარჩენილ ორ მხარეს მისი კუთვნილი სხვა ნაკვეთები ესაზღვრება, ხოლო მესამე მხარეს მეზობლის მიერ ხდება ღობის მოწყობა. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მესაკუთრისათვის დამაკმაყოფილებელი იქნება თუ არსებული შეზღუდვა პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე შეიცვლება იმგვარად, რომ მას მიეცეს ღობის მშენებლობის უფლება.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ერმილე ნიკოლაიშვილი თანახმაა გადაიხადოს სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 იანვრის N000354921 დასკვნით დადგენილი, 3,346 ლარის ოდენობით ფასთა შორის სხვაობა, თუკი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხორციელდება ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის - ,,დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე'' ჩანაცვლება შეზღუდვით - „განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად; მხოლოდ ღობის მშენებლობის უფლებით".

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

შესათანხმებლად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 მარტის N21.257.322 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 10,800 (ათი ათას რვაასი) ლარის ოდენობით, პრივატიზება, არმაზი ასლამაზაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიაზე მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.012.068) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, რომ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, განხილვა გადაიდოს კომისიის მომდევნო სხდომისათვის, **რასაც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.**

კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს: საკრებულოს განკარგულების პროექტი: „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **გადაიდოს კომისიის მომდევნო სხდომისათვის.**

მოისმინეს: *ქ. თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.10.13.033.928; 01.10.13.033.937) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, 2019 -2020 წლებში განცხადებებით მიმართეს ქალაქ თბილისში, მიროტაძის ქუჩის მაცხოვრებლებმა და ითხოვეს აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე, მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების (ს/კ: 01.10.13.033.929; 01.10.13.033.915;

01.10.13.033.933) გაცვლა მიმდებარედ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 136 კვ.მ. და 129 კვ.მ. მიწის ნაკვეთებში (ს/კ: 01.10.13.033.928; 01.10.13.033.937). განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.07.11წ. N01/1666 ბრძანების თანახმად, ტერიტორიაზე უნდა წარიმართოს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით. შესაბამისად, ითხოვეს მათ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთბის გადაცემა და აღნიშნეს, რომ მათი გადაცემის შემთხვევაში, მათი შემდგომი განვითარებისას გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ ,სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს მოსთხოვა ინფორმაცია , სამშენებლო პროექტი მოიცავს თუ არა მოთხოვნილ ტერიტორიებს და მისი განხორციელება საჭიროებს თუ არა მათ გამოყენებას და ათვისებას. აღნიშნული უწყებების მიერ, სააგენტოს ეცნობა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ, ურბანული განვითარების სამსახურს დამატებით სთხოვა ინფორმაცია გრგ-ს მიხედვით რა არის გათვალისწინებული განმცხადებელთა დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიებზე, ასევე ეთხოვა ინფორმაცია, მონაწილეობს თუ არა აღნიშნულ გრგ-ში 01.10.13.033.929; 01.10.13.033.915; 01.10.13.033.933 საკადასტრო ერთეულები და ასეთ შემთხვევაში, ამ საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ტერიტორიების რა სახის განვითარებაა გათვალისწინებული გრგ-ში. სამსახურის წერილის თანახმად, 01.10.13.033.928 საკადასტრო ერთეულისა და მიმდებარე 128 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები ნაწილობრივ ემთხვევა განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვლისწინებული შენობის განთავსების კონტურს. წერილის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გენგეგმით გათვალისწინებულია 01.10.13.033.929; 01.10.13.033.915; 01.10.13.033.933 საკადასტრო ერთეულების საზოგადოებრივი დანიშნულებით განვითარება (განათების ბოძების განთავსება; ტროტუარების და გამწვანების მოწყობა, შესასვლელი გზის მოწყობა).

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით განმცხადებელთა საკუთრებაში არსებული, უძრავი ნივთები შეფასდა ჯამში ა 256 669 ლარით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 01.10.13.033.928 და 01.10.13.033.937 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული 136 კვ.მ. და129 კვ.მ. მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებმა ჯამში შეადგინა 217735 ლარი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *"ქალაქ თბილისში, მეგობრობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.071.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, მეგობრობის ქუჩა N2-ში, პირველ სართულზე მდებარე 47.31 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.071.01.511) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ინდირა ტაბაღუას. შსს ცნობით და მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მოქალაქე ოჯახთან ერთად 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მიმსამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *"ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.003.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა კორპუს N12-ში, პირველ სართულზე მდებარე 46.36 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.003.01.514), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაია გოგუას. მოქალაქე ოჯახტან ერთად 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში, 1-2 სართულზე მდებარე 106.70 კვ.მ ბინა N3-ი (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ნელი მაზმიშვილს , რომელიც ოჯახთან ერთად 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.01.501 და N01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.01.501 და 01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 91,83 კვმ ფართი საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს(სამ პირს). შსს ცნობებით დგინდება, რომ ეს ოჯახები 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.073.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში, პირველ სართულზე, მდებარე 71.78 კვ.მ ბინა N1-ი (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.073.01.001) პირდაპირი განკარგვის

ფორმით,საკუთრებაში გადაეცემა ლილი მამულაშვილს . მოქალაქე 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *"ქალაქ თბილისში,უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი, №5-ში (საკადასტრო კოდი:№01.17.12.022.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი, N5-ში მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 127,80 კვმ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ორ ოჯახს. რომლებიც 2007 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.060.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N20-ში, პირველ სართულზე მდებარე 100.49 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.060.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა მერი ჩხენკელს, რომელიც დიდი ხანია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და ამავე დროს არის №648 კოოპერატივის დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული წევრი. მოქალაქე უარს აცხადებს აღნიშნული ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ მის მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ქუჩა მირზა გელოვანი, ჩიხი V, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ქუჩა მირზა გელოვანი, ჩიხი V, N3-ში მდებარე 79.09 კვ.მ ბინა N1-ი (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ლერი სვანიშვილს.შსს ცნობით მოქალაქე 2014 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *"ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში, პირველ სართულზე მდებარე 51.62 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნაილი ცინდელიანს. შსს ცნობით მოქალაქე 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 530,21 კვმ საცხოვრებელი ფართი,პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 12 პირს. შსს ცნობებით დგინდება, რომ ეს პირები ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრებენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *"ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165.02.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ში, პირველ სართულზე მდებარე 48.84 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნონა კოზანაშვილს. შსს ცნობით ნონა კოზმანაშვილი ოჯახთან ერთად 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 256,94 კვმ ფართი(საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა სამ ოჯახს, რომლებიც 2000-2005 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N57 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას თანხმობა მიეცა ზემოაღნიშნული საკითხის განხორციელების თაობაზე, ასევე, მოწონებულ იქნა წარდგენილი ხელშეკრულების პირობები.

ირაკლი თავართქილაძეის თქმით, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N57 განკარგულებით შეთანხმებული, მხარეთა შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებს შემდეგს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს საკუთრებაში უნდა გადასცეს მიწის ნაკვეთი, მათი მხრიდან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ. ამავდროულად, კოოპერატივის წევრები მიწის ნაკვეთის ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ შესაბამის წილზე საკუთრების უფლებას გადასცემენ კომპანიას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, სამომავლოდ, მათთვის ამავე დანართით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პირობით. აღნიშნული უფლების გადაცემის სანაცვლოდ, კომპანიის ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული კოოპერატივის წევრებისთვის ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების გადაცემა, ამავე დანართით განსაზღვრული ფართობების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული განკარგულებების გამოცემის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ განკარგულების დანართი N1-ის 118-ე პუნქტით განსაზღვრული, N598 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის - ზურაბ კაცაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, შეუძლებელი იყო შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერა. ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში, მათი მხრიდან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ, მნიშვნელოვანია, პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდება და მხარეთა შორის ხელშეკრულების მაქსიმალურად მოკლე ვადაში გაფორმება, მიზანშეწონილად იქნა მიიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107 განკარგულების დანართი N1-ში განხორციელდეს ცვლილება და ზურაბ კაცაძის მიერ მისაღები წილი მიწის ნაკვეთიდან - 123. 522 კვ. მ. გადაეცეს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიას - შპს „ჰორვატსს" ხოლო 78.64 კვ. მ. ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შემდგომში მისთვის ან მისი უფლებამონაცვლე პირისთვის/პირებისთვის გადაცემის უზრუნველყოფის პირობით.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ რომ 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107 განკარგულების გამოცემის დროისთვის, N645 კოოპერატივის 5 წევრის (მანანა ბერიაშვილის, თენგიზ ბლიაძის, ნუგზარ ბულიას, ტოგო ბეროზაშვილის და ალექსანდრე ქართველიშვილის) მიერ, სააგენტოში არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია, მათ შორის, სამკვიდრო მოწმობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული პროექტი არ დაყოვნდებულიყო, მიზანშეწონილად იქნა

მიჩნეული კომპანიის მიერ, მითითებული ფართის სააგენტოსათვის გადაცემა. აღნიშნული პირების მხრიდან სააგენტოში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში კი მათთვის შესაბამის საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების გადაცემას უზრუნველყოფდა სააგენტო. ალექსანდრე ქართველიშვილისა და მანანა ბერიაშვილის უფლებამონაცვლე პირებმა სრულყოფილი დოკუმენტაცია სააგენტოში წარმოადგინეს 2021 წლის 25 თებერვალს, შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების შეტანის დროისთვის, უკვე შესაძლებელია მათთვის ქონების გადაცემა. ამრიგად, სააგენტოს მიერ მიღებული ფართიდან გიორგი ქართველიშვილმა როგორც ალექსანდრე ქართველიშვილის მემკვიდრემ უნდა მიიღოს - 125.46 კვ.მ; ხოლო ნათელა ღუბიანურმა, როგორც მანანა ბერიაშვილის მემკვიდრის, მარიამ ბერიაშვილის მოთხოვნის ახალმა კრედიტორმა - 75.05 კვ.მ. ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის N19.1087.1388 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"*

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის N19.1087.1388 და „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის N375 განკარგულებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის Nბ61.01193255 ბრძანებით , არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ „იას" (ს/კ: 200160636), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა-ნაგებობა #1-ის (საკადასტრო კოდი: #01.11.12.002.061.01.502) სხვენ სართულზე არსებული 181.13 კვ.მ. ფართი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პროფესიული სწავლებისთვის და დასაქმებისთვის სახელოსნოების განთავსების მიზნით.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, გადაცემულ ქონებაზე უსასყიდლო უზუფრუქტის უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. აღსანიშნავია, რომ N01.11.12.002.061.01.502 საკადასტრო კოდზე უსასყიდლო უზუფრუქტის უფლება დარეგისტრირდა 2019 წლის 28 ნოემბერს.

უზუფრუქტუარი აღნიშნავს, რომ უზუფრუქტით გადაცემულ ქონებაში სრულყოფილად სწავლებისთვის შესაბამისი დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნის მიზნით საჭიროა გადაცემული ქონების რემონტი. უზუფრუქტუარმა საკუთარი ხარჯით და შემოწირულობებით განახორციელა გარკვეული სარემონტო სამუშაოები (ელექტროგაყვანილობა, მეტალო/პლასტმასისი კარ-ფაჯრის ჩასმა, სხვენში ასასვლელი კიბის მოწყობა და სხვა). თუმცა, დარჩენილი მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოების (ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა, სანტექნიკის სამუშაოები და მონტაჟი, იატაკის მოწყობა კერამიკული ფილებით და სხვ.) უზუფრუქტუარი ითხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას მინიმუმ 5 (ხუთი) წლით, სანაცვლოდ კი 2022

წლის 31 მარტამდე 15,000 (თხუთმეტი ათასი) ევროს ექვივალენტი ლარში ოდენობით ინვესტიციის განხორციელებას სარემონტო სამუშაოებზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **დავით უთმელიძე.**